



საქართველო 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ

ინტერვიუ პროფესორ ნილ მაკფარლეინთან

ინტერვიუს უძღვება ნინო სამხარაძე, უმცროსი პოლიტიკის ანალიტიკოსი, GIP

"რაც შეეხება ევროკავშირის პოლიტიკას საქართველოს მიმართ, ვფიქრობ, თქვენი ურთიერთობების განვითარება გრძელი პროცესი იქნება. ყველაზე კარგი რამ, რაც ქართველებმა შეიძლება გააკეთონ ამ პროცესის ხელშესაწყობად, შიდა ინსტიტუტების განვითარებაა"

პროფესორი ნილ მაკფარლეინი იკვლევს რუსეთის საგარეო პოლიტიკასა და ყოფილ პოსტ-საბჭოთა სივრცეში, განსაკუთრებით, მისი სამხრეთით განვითარებულ რეგიონულ დინამიკას. 1996 წელს აირჩიეს ოქსფორდის უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების ლესტერ ბ. პირსონის პროფესორად. 2005-2010 წლებში პროფესორი ნილ მაკფარლეინი ხელმძღვანელობდა პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტს. 2008-2010 წლებში ის ოქსფორდის უნივერსიტეტის სოციალური მეცნიერებების მიმართულების ხელმძღვანელის მოადგილე იყო. იგი [ოქსფორდის] უნივერსიტეტის საბჭოსა და არაერთი საუნივერსიტეტო კომიტეტის წევრია. პროფესორი ნილ მაკფარლეინი Chatham House-ის რუსეთისა და ევრაზიის პროგრამის ასოცირებული მკვლევარია და იკავებდა, ასევე, სოციალური მეცნიერებების ცენტრის (თბილისი, საქართველო) საბჭოს თავმჯდომარის პოზიციას.

პროფესორი ნილ მაკფარლეინი დაგვთანხმდა ონლაინ დისკუსიაზე ზუმის პლატფორმის გამოყენებით და უპასუხა ჩვენს კითხვებს 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ საქართველოს დემოკრატიული განვითარების, სამხრეთ კავკასიაში გეოპოლიტიკური ცვლილებებისა და აშშ-ს საპრეზიდენტო არჩევნების გავლენის შესახებ მათზე.

ნს: პროფესორო მაკვარლინ, ნება მომეცით, საუბარი საქართველოს შიდა პოლიტიკური სიტუაციის განხილვით დავიწყო. არის თუ არა შემფოთების საგანი მმართველი პარტიის მიერ ხელისუფლების მესამე ვადით შენარჩუნება? უნდა გვაღელვებდეს თუ არა ის, რომ შემდეგი ოთხი წლის განმავლობაში მათი მართვის სტილი, შესაძლოა, შედარებით არადემოკრატიული მიდგომისკენ გადაიხაროს?

ნმ: პირველ რიგში, ვიტყვოდი იმას, რომ სამი ვადა, თავისთავად, პრობლემას არ წარმოადგენს. ბევრ დემოკრატიულ ქვეყანას უნახავს ერთი პარტიის მმართველობა რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში. ეს ხდება იმიტომ, რომ მათ ხალხი ირჩევს და, საბოლოოდ, ეს მდგომარეობა მაინც იცვლება. ამდენად, არ ვფიქრობ, რომ მესამე ვადით არჩევა პრობლემაა. ასევე, მიმაჩნია, რომ, შესაძლოა, არსებობდეს მმართველობის განგრძობადობის არგუმენტი საქართველოს სტაბილური და დემოკრატიული განვითარებისთვის.

ამას გარდა, არსებობს მიზეზიც სტაბილური წინსვლის სურვილის ფაქტორიც, განსაკუთრებით საქართველოს სიტუაციაში. მაგალითად, თუ მივიღეთ ერთიანი ნაციონალური მოძრაობა ქართული ოცნების მაგივრად, და ეს არის ალტერნატიული ტრეპტორია, თუ დაფიქრდებით, ეს ალტერნატივა, ჩემი გადმოსახედიდან, საკმაოდ ბუნდოვანია ქართულ ოცნებასთან შედარებით. მეორე მხრივ, მთავრობები, რომლებიც ძალაუფლებას დიდი ხნის მანძილზე ინარჩუნებენ, როგორც წესი, ძალაუფლების ბოროტად გამოყენებისა და ზედმეტი თავდაჯერებულობისკენ არიან მიდრეკილნი, რაც, თავისთავად, რისკია. მე იმას არ ვამბობ, რომ ქართული ოცნება ამ ნიშნებს უკვე აჩვენებს,

თუმცა, დროის გასვლასთან ერთად, მეტი განახლება ხდება საჭირო.

ნს: მთავარი ოპოზიციური პარტიები არჩევნების გაყალბებისკენ მიანიშნებენ, მათ ბოიკოტი გამოუცხადეს არჩევნების მეორე ტურს და უარს ამბობენ საპარლამენტო მანდატებზე. არის თუ არა ეს შემაშფოთებელი ფაქტორი საქართველოში კონკურენტული პოლიტიკური გარემოსთვის? ხედავთ თუ არა მმართველ პარტიასა და ოპოზიციურ პარტიებს შორის არსებული ჩიხიდან გამოსავალს, გადაარჩენს ჯანსაღ პოლიტიკურ დღის წესრიგს საქართველოში?

ნმ: ახლა რაზეც ვსაუბრობთ, არ არის მხოლოდ საქართველოსთვის დამახასიათებელი პრობლემა. თქვენი შეკითხვა სტანდარტულია, რაც გულისხმობს შემდეგს: აღიარებს თუ არა ოპოზიცია საარჩევნო პროცესს ლეგიტიმურად? ეს, სხვათა შორის, ეხება აშშ-საც. ჩვენ გვყავს პრეზიდენტი, რომელიც ამთავრებს საკუთარ ვადას, ის კი ამას ეწინააღმდეგება და ამბობს, რომ ყველაფერი გაყალბებულია. აშშ-ში არსებულ ზოგად განწყობას თუ შევხედავთ, ეს, სავარაუდოდ, ამერიკული დემოკრატიის დესტაბილიზაციას უწყობს ხელს.

დავუბრუნდეთ საქართველოს. ვფიქრობ, საკითხი იგივენაირად დგას: თუკი არსებობს ოპოზიციური პარტია, რომელსაც ამ თამაშში მონაწილეობა არ სურს ისე, როგორც ეს კონსტიტუციითაა განსაზღვრული, და ამის ნაცვლად სცდება და ეწინააღმდეგება კონსტიტუციურ ჩარჩოებს, სავარაუდოდ არსებობს ამის ამხსნელი მიზეზები. თუმცა, ვფიქრობ ეს მნიშვნელოვნად აზიანებს საქართველოს განვითარების გზაზე მყოფ კონსტიტუციონალიზმს. ახლა რაც შეეხება სახის

შენარჩუნებისთვის გადადგმულ ნაბიჯებს, ყოფილი პრეზიდენტის - მიშა სააკაშვილის მიმართ ჩემი პატივისცემის მიუხედავად, ჩემი აზრით, ის სახის შენარჩუნებაზე არ ფიქრობს. ვფიქრობ, ის მხოლოდ წინააღმდეგობის გაწევით, მთავრობის დისკრედიტაციითა და მისი შეცვლითაა დაინტერესებული. თუკი ამ პოზიციას ერთიანი ნაციონალური მოძრაობაც იზიარებს - და ვაცნობიერებ იმასაც, რომ ერთიანი ნაციონალური მოძრაობა სხვადასხვა ძალების კომპლექსური ერთობაა - და მაინც, თუკი ეს საერთო, ერთმნიშვნელოვანი პოზიციაა, მაშინ სახის შენარჩუნებაზე ლაპარაკი ზედმეტია.

ნს: მიგაჩნიათ თუ არა, რომ მიხეილ სააკაშვილის პოზიცია ოპოზიციური პარტიების ამჟამინდელი პოზიციის განმსაზღვრელია?

ნმ: ვფიქრობ, ისევე, როგორც პრეზიდენტ ტრამპს, მასაც აქვს მობილიზაციის დიდი შესაძლებლობა. რაც შეეხება სხვებს, მაგალითად, ბოკერისას მსგავს პოლიტიკოსებს, ამ მხრივ წინააღმდეგობები არსებობს. მიმაჩნია, რომ ერთიანი ნაციონალური მოძრაობის უფრო ფართო პერსპექტივიდან, რომელიც რამდენიმე ნაწილისგან შედგება, მათ საკუთარი ინტერესები ამოძრავებთ. მათთვის მიშა ახლა სასარგებლოა, თუმცა როგორც კი ის საჭირო აღარ იქნება, მას მიატოვებენ. ამ საარჩევნო პროცესის ძირითადი მახასიათებელი, ჩემი მოსაზრებით, მათი საერთო მიზანი იყო. ეს მიზანი კი ქართული ოცნების ჩამოშორებას და "დიდებული წარსულის" დაბრუნებას გულისხმობდა. თუმცა ამან არ იმუშავა. ამდენად, ისინი სტატუს-ქვოს არ ეთანხმებიან. კითხვა მდგომარეობს იმაში, შეძლებენ თუ არა ისინი კონსტიტუციის მიღმა მოქმედებას. ამაზე პასუხი კი არ მაქვს.

ნს: ოთხი წლის შემდეგ, 2024 წლისთვის, საქართველო გეგმავს არსებული ნახევრად პროპორციული სისტემის სრულად პროპორციული სისტემით ჩანაცვლებას. როგორ ფიქრობთ, რამდენად შესაძლებელია, რომ ეს ცვლილებები საქართველოს პარტიულ პოლიტიკას უფრო პლურალისტულს გახდის? რა შედეგებს მოიტანს ეს ცვლილებები საქართველოს პარტიული სისტემისთვის?

ნმ: ვფიქრობ, სრულად პროპორციული საარჩევნო სისტემის ერთ-ერთი პოზიტიური შედეგი არის ის, რომ ასეთი სისტემა უფრო ინკლუზიურია, ვიდრე ექსკლუზიური. და მიმაჩნია, რომ ეს ისეთივე ჭეშმარიტებაა საქართველოსთვის, როგორც, მაგალითად, ბელგიისთვის. ამდენად, ჩემი აზრით, ეს სისტემა არსებითად კარგია, განსაკუთრებით თუ გავითვალისწინებთ თქვენს დაყოფილ წარმომადგენლობას, რომელიც განისაზღვრება მაჟორიტარული მანდატებითა და პარტიული სიით, რაც, შინაგანად წინააღმდეგობრივია. ან იღებთ იმ მოცემულობას, რომ ყველას თანაბარი ხმა უნდა ჰქონდეს ქვეყნის მასშტაბით და რომ ეს ხმები თანაბრად უნდა იყოს წარმოდგენილი პარლამენტში, ან არა.

მედლის მეორე მხარე კი არის ის, რომ სრულად პროპორციული სისტემის პირობებში, ძალაუფლება პოტენციურად იყოფა საკმაოდ დიდი რაოდენობის პარტიებს შორის, რომლებიც ხმების მცირე პროცენტებს იღებენ - თუკი, რა თქმა უნდა, არჩევნები სამართლიანი და თავისუფალია. ეს კი მმართველობას გაცილებით ართულებს. ამდენად, საქართველოს შემთხვევაში არსებობს კითხვა, რამდენად არის წარმოდგენილი ამისთვის საკმარისი მდგრადობა და პროფესიონალური განვითარება საჯარო ინსტიტუტებში? თუმცა, პრინციპულად,

ვფიქრობ, რომ პროპორციული წარმომადგენლობა სისტემას უფრო დემოკრატიულს ხდის.

ნს: მინდა გკითხოთ ახალ გეოპოლიტიკურ მდგომარეობაზე სამხრეთ კავკასიაში, სადაც, ბოლო დროს, მნიშვნელოვანი მოვლენები განვითარდა. აზერბაიჯანმა მიმართა პრობლემის მოკლევადიან სამხედრო გადაჭრას და აიღო სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ქალაქი შუშა, რის შემდეგაც ნიკოლ ფაშინიანმა ხელი მოაწერა სამშვიდობო ხელშეკრულებას. შედეგად, რეგიონში რუსი მშვიდობისმყოფელების რაოდენობა გაიზარდა. უნდა შევაფასოთ თუ არა ეს მოვლენები, როგორც საფრთხე საქართველოს გეოპოლიტიკური პოზიციონირების და მისი ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის სტრატეგიული მიზნების მიმართ?

ნმ: რუსეთმა მიიღო ის, რაც სურდა. მათ ყარაბაღის რეგიონში და მის გარშემო ჰყავთ სამშვიდობო ძალები საკუთარი კონტროლის ქვეშ. სხვათა შორის, იმის გათვალისწინებით, რომ ამ წვეულებაზე სხვა არავინ მოსულა და არავის უცდია შუამავლობა გამოსავლის მოსაძებნად ყარაბაღის მოსახლეობისთვის - იქნებოდა ეს აზერბაიჯანელი თუ სომეხი მოსახლეობა - ეს მაინც, იდეალური არა, მაგრამ, საუკეთესო შესაძლო ვარიანტი იყო. ვგულისხმობ, რომ სხვა ვინ გააკეთებდა ამას? და თუ სხვა არავინ ჩაერეოდა, კიდევ რამდენ ხანს გაგრძელდებოდა ადამიანების ხოცვა? ამდენად, საკმაოდ მაშფოთებს აზერბაიჯანში რუსეთის ძალების შეყვანა და მისი გავლენა სომხეთის თავდაცვასა და საგარეო პოლიტიკაზე და, ასევე, ამ ნაბიჯის გავლენა აზერბაიჯანზე, რადგან ეს რუსეთის ხელში გავლენის ბერკეტია მის წინააღმდეგ.

რაც შეეხება საქართველოს პოზიციას, ქვეყნის ინტერესს მუდმივად წარმოადგენდა სამხრეთ კავკასიაში რუსეთის როლის შემცირება. ვფიქრობ, ეს მარტივად გასაგებია. ეს [ყარაბაღის] მოვლენები კი სამხრეთ კავკასიაში რუსეთის როლს აძლიერებს. სომხეთში, გიუმრიში რუსეთის დიდი ბაზაა და, ამასთან, აზერბაიჯანში, ყარაბაღის გარშემო ჩადგენენ რუსეთის საკმაოდ დიდი სამშვიდობო ძალები. რომელი ქვეყანაა ამ რეგიონსა და რუსეთს შორის? საქართველო. რუსეთს სურვილი ექნება, შედარებით მარტივად დაუკავშირდეს სომხეთსა და აზერბაიჯანში საკუთარ ძალებს ხმელეთის გზით. ყველაზე მარტივი გზა კი საქართველოს გავლითაა. აქვე აღვნიშნავ, რომ არ ვარ შეთქმულების თეორიის მომხრე. ეს, უბრალოდ, ძალიან ნათელი ობიექტური პრობლემაა მათთვის. თუმცა, ამ კონტექსტში, გასათვალისწინებელია რუსეთ-თურქეთის ურთიერთობებიც, რადგან სომხებისთვის სტრატეგიულ საფრთხეს თურქეთი წარმოადგენს და არა რუსეთი. და თუკი კონფლიქტს შევხედავთ, დავინახავთ, რომ თურქეთი სრულად უჭერს მხარს აზერბაიჯანს, არა მხოლოდ სამხედრო აღჭურვილობის, არამედ ტექნიკური თვალსაზრისითაც და, ასევე, სავარაუდოდ, მოხალისეების აზერბაიჯანში გაგზავნილთაც კონფლიქტში ჩართულობის მიზნით. შემდეგ შევხედოთ რუსეთს, რომელიც სომხეთის მოკავშირეა და მასთან სტრატეგიული ურთიერთობები აკავშირებს, ხოლო იქ არსებული [სამხედრო] ბაზა ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე ოპერაციების ძირითადი წერტილია. მათ [რუსეთს და თურქეთს], შესაძლოა, ამ წინააღმდეგობების მართვა გაუჭირდეთ.

ნს: თქვენ ძალიან კარგად აღწერეთ ახალი რისკის შემცველი გარემოებები ჩვენს გარშემო.

თუ შეიძლება, უფრო დეტალურად შეგვიჩვენებთ, რამდენად აქცევს ახალი სიტუაცია საქართველოს ევროპული ინტეგრაციის ამბიციას წინების ქვეშ? ეს ისევე პრობლემური იქნება, როგორც ერთი შეხედვით ჩანს?

ნმ: ვფიქრობ, ამას ორი ასპექტი აქვს. პირველი ის, რაც ბრიუსელში ხდება და მეორე ის, თუ რა ხდება კავკასიაში და საქართველოს გარშემო. მიუხედავად იმისა, რამდენად სერიოზულად მივიღებთ ნატოს გაფართოების შესახებ დოკუმენტს, საქართველოს პრობლემები მანამდეც ჰქონდა იმდენად, რამდენადაც მას ყველა შიდა კონფლიქტი უნდა მოეგვარებინა გაწევრიანების შესაძლებლობის მიღებამდე. მეორე პრობლემაა სამეზობლოს საკითხი. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მთავარი არის ის, რომ ნატოს არ უნდა იმ სივრცეში გაფართოება, სადაც ამან, შესაძლოა, კონფლიქტი წარმოშვას. შესაბამისად, რას ნიშნავს ეს საქართველოს ევროპული ინტეგრაციისკენ სწრაფვისთვის? ვფიქრობ, რომ ბევრს არაფერს. ნამდვილად არ მიმაჩნია, რომ საქართველოს ნატოში ან ევროკავშირში გაწევრიანების მყისიერი შესაძლებლობა აქვს. ასე იყო ეს 2008 წლის მოვლენებამდე, ასეა 2008 წლის მერე და ასეა ახლაც.

და არ ვფიქრობ, რომ ამ მიმართულებით ყარაბაღის მოვლენები რაიმეს ცვლის. თუმცა, შევხედოთ დადებითი პერსპექტივიდან. თვალს თუ გადაავლებთ პარტნიორობის გზას, ის საკმაოდ ბუნდოვანია, პარტნიორობა შეიძლება იყოს სიღრმისეული ან ზედაპირული. საქართველო ამ სპექტრის შუაშია. მას შეუძლია [პარტნიორობა] გააღრმავოს, და ვფიქრობ, ეს ასეც იქნება, თუმცა, ამ პროცესში როგორც ევროკავშირი, ისე ნატო იფიქრებს იმაზე, თუ

რამდენად შორს შეიძლება პროცესი წავიდეს ისე, რომ არ შეიქმნას პრობლემები: ა) საქართველოსთვის, ბ) ჩვენთვის.

ნს: მთიანი ყარაბაღის საკითხს და მის განზომილებებს რომ დაგუბრუნდეთ: ნიშნავს თუ არა კონფლიქტის ამ ტრანექტორიით განვითარება იმას, რომ საერთაშორისო მედიაციის ფორმატებმა, როგორცაა მინსკის ჯგუფი, ეფექტიანობა დაკარგა?

ნმ: მინსკის პროცესს თვალს 1992 წლიდან ვადევნებ და დიდი მოლოდინი მის მიმართ არასდროს მქონია. ბოლო 28 წლის ისტორიამ გვაჩვენა, რომ მინსკიდან ბევრს არაფერს უნდა ველოდოთ. ამდენად, არ ვფიქრობ რომ მათი პოზიცია სუსტდება. ვფიქრობ, მათ არც არასდროს ჰქონდათ ეს პოზიცია ორი მიზეზის გამო. არასდროს არსებობდა კონსენსუსი მინსკის ჯგუფის მონაწილე ძირითად ქვეყნებს - რუსეთს, საფრანგეთსა და აშშ-ს შორის იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ უნდა გაეხადათ მშვიდობის მშენებლობა პრიორიტეტული. მეორე მიზეზი თვითონ სომხეთსა და აზერბაიჯანშია. ყარაბაღის კონფლიქტის მთავარ მონაწილეებს სერიოზული შიდა-პოლიტიკური შეზღუდვები აქვთ. და არცაა გასაკვირი, რომ თუ ბოლო 30 წლის განმავლობაში ორივე მხარე მოსახლეობას ეუბნება, რომ არ დანებდეს და არ დაიხიოს უკან, დანებება საკმაოდ რთული ხდება. სომხეთი ა) აზერბაიჯანზე პატარაა; და ბ) აზერბაიჯანზე ღარიბია. ამ ორ ქვეყანას შორის მხარდი განსხვავება მათ შორის რეგიონულ ბალანსს ცვლის. თუკი ძალთა ბალანსი რომელიმეს სასიკეთოდ შეიცვლება, კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების არარსებობის ფონზე, საბოლოოდ, შესაძლოა, ისევე ომი მივიდოთ. ზუსტად ეს მოხდა ახლაც. დესტაბილიზაციის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი

ფაქტორია თურქეთიც. მიმაჩნია, რომ აზერბაიჯანის სამხედრო ძალებს მნიშვნელოვანი პროგრესის მიღწევა შეეძლოთ თავისი ძალებით არა მხოლოდ საკუთარი წონის, არამედ მათი შეიარაღების წყალობითაც, თუმცა თურქეთის მხარდაჭერამ, განსაკუთრებით საჰაერო ბრძოლებში, დრონების გამოყენებით, მნიშვნელოვანი როლი ითამაშა. და ეს არ იყო მხოლოდ თურქეთი, სავარაუდოდ, ეს იყო ისრაელიც. მთავარი ის არის, რომ კონფლიქტი მოგვარდა არა მედიაციის, არამედ ძალის გამოყენების გზით. რაც იმას ნიშნავს, რომ მინსკის ჯგუფი, ფაქტიურად, მაინც უშედეგო იყო. დაკარგა თუ არა მან გავლენა? ვფიქრობ მას ისედაც არასდროს ჰქონია დიდი გავლენა.

ნს: ნება მიბოძეთ დავასრულოთ რეგიონის შესახებ ეს ნაწილი და შევხედოთ უფრო ფართო საერთაშორისო კონტექსტს და მის გავლენას საქართველოზე. 2015 წელს თქვენ დაწერეთ თვალსაზრისით იმ რთულ საგარეოპოლიტიკურ გარემოზე, რასთან გამკლავებაც ქართულ ოცნებას უწევდა. უფრო კონკრეტულად, თქვენ ახსენეთ რუსეთთან და დასავლეთთან ურთიერთობების დაბალანსების ამოცანა. რვა წლის შემდეგ, უფრო ფართო პრიზმიდან თუ შევხედავთ, მიგაჩნიათ თუ არა, რომ ქართული ოცნება ეფექტიანად ახერხებს ამ მიზნის შესრულებას? იყო თუ არა მთავრობა წარმატებული ორ მთავარ ძალასთან ურთიერთობის დაბალანსების თვალსაზრისით?

ნმ: ქართული ოცნების შეფასებისას, ჩემთვის საწყისი წერტილი ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მთავრობაა. თუკი საქართველოსთვის დასავლეთსა და რუსეთს შორის ბალანსი მნიშვნელოვანია, ვფიქრობ, ვთანხმდებით, რომ ერთიანი ნაციონალური

მოძრაობა არც ისე წარმატებული იყო დასავლეთზე ზედმეტი ფოკუსირებითა და რუსეთზე მუდმივი თავდასხმით. შედეგი 2008 წლის ომი იყო. ეს არ ყოფილა მხოლოდ ნატოსთან ურთიერთობების გააქტიურების შედეგი. ეს იმის შედეგი იყო, რომ რუსები ღიზიანდებოდნენ ერთიანი ნაციონალური მოძრაობითა და მიხეილ სააკაშვილით. რას ნიშნავს ეს თქვენი კითხვისთვის? შედარებისთვის, ვფიქრობ, ახლანდელმა მთავრობამ გაცილებით უკეთ შეძლო ეფექტური ბალანსის მიღწევა რუსეთთან. გაიხსნა ვაჭრობა, აღდგა ტრანსპორტი და რიტორიკაც შემსუბუქდა. ვფიქრობ, ფაქტია, რუსები დღევანდელ საქართველოსთან მიმართებით უფრო კომფორტულად გრძნობენ თავს, ვიდრე 2008 წელს. ეს კი კარგია. აქ რამდენიმე მიმართულებაა. მაგალითად, რა ხდება დიპლომატიური ურთიერთობების მხრივ? დღემდე რუსეთსა და საქართველოს შორის არ არის დიპლომატიური ურთიერთობები. რატომ? ეს იმიტომ, რომ საქართველოს მთავრობას არ სურს მიიღოს ის შედეგები რაც ორმხრივ აღიარებას მოყვება, რადგან ამისათვის რაღაც ფასის გადახდა მოუწევს. ეს ფასი კი შეიძლება იყოს რუსული ჯარის საქართველოს ტერიტორიაზე, ოკუპირებული ტერიტორიების მიღმა დაბრუნება და სომხეთისა და დასავლეთ აზერბაიჯანის მიმართულებით სამხედრო სატრანსპორტო კორიდორის აღდგენა საქართველოს გავლით. დამოუკიდებლობა და თვითგამორკვევა საფრთხილო საკითხია. ეს დილემას წარმოადგენს, რადგან ვფიქრობ, რომ საქართველოს ინტერესში იქნება რუსეთთან უფრო კონსტრუქციული და მჭიდრო ურთიერთობა. თუმცა, მეორე საკითხია ის, თუ როგორ შეიძლება ამის მიღწევა რუსეთთან. რუსეთი იმპერიალისტური ძალაა და ფიქრობს, რომ საქართველო მას ეკუთვნის და რომ მისი

მეზობლების "სუვერენიტეტი" სინამდვილეში სუვერენიტეტი არაა. შესაბამისად, მესმის ის შეზღუდვები, რაც არსებობს რუსეთთან ნორმალური ბალანსის მიღწევის გზაზე. მეორე მხრივ, ჩემს თავდაპირველ მოსაზრებას რომ დავუბრუნდე, რაც უფრო მეტად გადაიხრება საქართველო დასავლეთისკენ, მით უფრო მეტად გართულებს საქართველოს უსაფრთხოების წინაშე მდგარი რუსული პრობლემა. არ მშურს იმ ადამიანების, ვინც ამაში არიან ჩართულნი. საკმაოდ რთულია გადაწყვეტილების მიღება, თუმცა 2008 წლიდან ის ვისწავლეთ, რომ ხაზის გადაკვეთას რეაქცია მოჰყვება. ამდენად, კითხვა არის ის, თუ რამდენად ახლოს შეიძლება ამ ხაზთან მისვლა საქართველოს პერსპექტივიდან, ხაზის გადაკვეთის გარეშე. და ვფიქრობ, დაბალანსების თვალსაზრისით, ქართულმა ოცნებამ ამ ამოცანას თავი კარგად გაართვა. ბევრი პრობლემა მაქვს ქართული ოცნების მთავრობასთან, მაგრამ საგარეო პოლიტიკა მათ შორის არ არის.

ნს: შემდეგ კითხვაში მინდა, შევხუ აშშ-ში მიმდინარე ცვლილებებს. რა გავლენას მოახდენს ბაიდენის გამარჯვება შეერთებულ შტატებში საქართველოს ვესტერნიზაციაზე და დასავლურ ინტეგრაციაზე? გაქვთ მოლოდინი, რომ აშშ-ს საგარეო პოლიტიკა საქართველოს ან რეგიონის მიმართ შეიცვლება?

ნმ: თუ უფრო ფართო რეგიონზე ვსაუბრობთ, რაშიც მე ევროპას ვგულისხმობ, ვფიქრობ ცვლილებებს უნდა ველოდოთ. მიმაჩნია, რომ ვაშინგტონში საგარეო პოლიტიკაში გადაწყვეტილების მიმღები ელიტა და, განსაკუთრებით, ბაიდენი და ბლინკენი [ბაიდენის ნომინაცია სახელმწიფო მდივნის პოზიციაზე] მკვეთრი ატლანტიციზმით ხასიათდება. ეს კი გულისხმობს იმას, რომ ისინი

უარყოფენ "ამერიკა უპირველეს ყოვლისა" პოლიტიკას. ამდენად, მოლოდინი მაქვს, რომ მოხდება ნატოსთან ურთიერთობების აღდგენა და ევროკავშირთან უფრო მოზომილი ურთიერთობების დალაგება. რას ნიშნავს ეს უფრო მცირე რეგიონისთვის, კავკასიისთვის? ეს დაკავშირებულია წინა შეკითხვასთან. კავკასიის ქვეყნებისთვის უფრო ძლიერი და ღრმა ინტეგრაციული შეთანხმების მიღწევას ბევრი წინაღობა აქვს. ამერიკის საგარეო პოლიტიკისა და მსოფლიოში ამერიკის პოზიციის თვალსაზრისით, ბოლო ოთხი წელი კატასტროფა იყო, ეს ცხადია. შტატებთან კავკასიის ურთიერთობებს რაც შეეხება, ვფიქრობ საქართველოს და სომხეთის მიმართებით ის გაუმჯობესდება. თუმცა, ეს, სავარაუდოდ, ვერ მოხდება აზერბაიჯანთან.

აშშ-ში საქართველო ამერიკის მუდმივ მხარდამჭერ მეგობრად აღიქმება. ამდენად, ვფიქრობ ურთიერთობები ამერიკელებთან 2021 წლის 20 იანვრის მერე უფრო გამარტივდება. და თუ ვივარაუდებთ იმასაც, რომ საბოლოო შედეგებში და [ძალაუფლების] გადაბარებაში ხალხის ნებაა გამოხატული, ვფიქრობ, ეს უფრო მარტივი იქნება, თუმცა არ მექნება ძირეული ცვლილებების მოლოდინი. თუკი კავკასიას შევხედავთ, ვფიქრობ დისკურსის დონეზე მხარდაჭერა შენარჩუნდება, როგორც ეს აქამდე ხდებოდა. თუმცა, პრაქტიკაში დიდ ცვლილებებს არ ველოდები. ვფიქრობ, ობამა იყო ის, ვისთვისაც კავკასიის საკითხი ევროპის პრობლემა იყო და არა ტრანსატლანტიკური სივრცის. მგონია, რომ ეს ასეც გაგრძელდება. მეორე მხრივ, მგონია, რომ ეკონომიკის გაძლიერებისა და განვითარების მიმართულებით აშშ-ს საქართველოში ჩართულობა გაიზრდება.

საქართველოს ბევრი წინააღმდეგობა აქვს: პირველი - რუსეთი, შემდეგ - თურქეთი და ბოლოს, ყარაბაღი საქართველოსთვის საფრთხილო ფაქტორებია. საქართველოს ბევრ შიდა გამოწვევასთანაც უწევს გამკლავება. და თუკი ვსაუბრობთ სახელმწიფოსა და პოლიტიკის მტკიცე კონსოლიდაციაზე, ვფიქრობ, ლოგიკურია, ყურადღება გამახვილდეს ისეთ შიდა პრობლემებზე, როგორცაა ინფრასტრუქტურა, რეგიონული განვითარება, ახალგაზრდების უმუშევრობა. სავარაუდოდ, სია უფრო გრძელია, თუმცა, თავდაპირველად, ეს მიმართულებები გამახსენდა. ეს ის საკითხებია, რაზეც მთავრობამ უნდა იზრუნოს და ვფიქრობ ეს საქართველოსთვის უფრო მნიშვნელოვანია. და მართლაც, რაც უფრო მეტი შიდა პრობლემაა გადაჭრილი, უფრო რეალურია ნატოსა და ევროკავშირში გაღრმავებული ინტეგრაცია.

ნს: როგორ ხედავთ ნატოს მომავალს? რას იტყობით წამყვანი ევროპული ძალების პოზიციაზე ნატოსა და მის დიად მიზანზე, უზრუნველყოს საერთაშორისო მშვიდობა და უსაფრთხოება, მათ შორის საფრანგეთის პრეზიდენტის ცნობილ გამონათქვამზე ნატოს "ტვინის სიკვდილთან" დაკავშირებით? რამდენად ოპტიმისტურად ან პესიმისტურად ხართ განწყობილი რეჟებ თავი ერდოლანის მომავალ ნაბიჯებზე ნატოში? რა გავლენა ექნება ამას საქართველოს უსაფრთხოების სტრატეგიაზე?

ნმ: რაც შეეხება მაკრონის ნათქვამს ნატოს "ტვინის სიკვდილთან" დაკავშირებით, ის ევროპის წაქეზებას ცდილობდა, რომ მათ საკუთარი უსაფრთხოება უფრო სერიოზულად მიეღოთ, სასურველ შემთხვევაში, ცხადია, საფრანგეთის ხელმძღვანელობით. თუ

საფრანგეთმა გადაწყვიტა, რომ ნატო "ტვინის სიკვდილს" განიცდის, მათ ამ სხეულის დატოვება უნდა უნდოდეთ. მათ ეს არ უქნიათ, პირიქით - საკმაოდ აქტიურებიც კი არიან ალიანსში. ეს მხოლოდ პოლიტიკური რიტორიკაა. თუმცა, ნამდვილად გადმოსცემს ევროპელი ლიდერების უფრო ღრმა წუხილს ტრანსატლანტიკური ურთიერთობების ბუნდოვანების შესახებ, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც პრეზიდენტმა ტრამპმა იკითხა, თუ რატომ არ იხდიან ისინი საკუთარი უსაფრთხოების უზრუნველყოფისთვის და ა.შ. ეს კარგი კითხვაა. ამდენად, ვფიქრობ, რომ ეს იყო მცდელობა დაწყებულიყო ევროპული დიალოგი რეგიონულ უსაფრთხოებაზე, რაც დიდ წილად ტრამპის პოლიტიკის შედეგია, თუმცა შესაძლოა ასევე იყოს გამოწვეული სტრატეგიული გარემოს ცვლილებით, რაც ევროპაზე ახდენს გავლენას. რამდენად მნიშვნელოვანია ბაიდენი ამ კონტექსტში? ბაიდენი კვლავ დაუბრუნდება ტრანსატლანტიკურ ურთიერთობებს. ამაზე კითხვაც არ ისმის. და თანამშრომლობის დონე, რომელიც უკვე მნიშვნელოვნად ძლიერია, კიდევ უფრო მეტად გაიზრდება. რაც ვფიქრობ, რომ კარგი ნიშანია.

ახლა რაც შეეხება ბატონ ერდოლანს, რომელიც ნატოში არის *enfant terrible* (უსაქციელო ბავშვი), ალიანსის დიდი პრობლემაა. ეს პრობლემა როგორც აღმოსავლეთ ხმელთაშუა [ზღვის] რეგიონის კუთხით, რუსეთთან თურქეთის მზარდი ურთიერთობების თვალსაზრისით, რაც მოიცავს სამხედრო დახმარებასა და, სავარაუდოდ, ერთობლივი ოპერაციული შესაძლებლობის შექმნას რუსულ ძალებთან. ეს კი პირდაპირ ეწინააღმდეგება ნატოს წესებს. წინააღმდეგობები იყო თურქეთის პოლიტიკასთან დაკავშირებით სირიაშიც.

თურქეთს, გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ევროპული ქვეყნისთვის ყველაზე დიდი სახმელეთო ძალები ჰყავდა. და ამდენად, ეს პრობლემაა. მეორე მხრივ, ნატოს ძირითად მოთამაშეებს არ სურთ თურქეთთან კავშირის გაწყვეტა და ისინი დაელოდებიან იმ დროს, როდესაც თურქეთს „გონება გაუნათდება“ და დაუბრუნდება საერთო დღის წესრიგს. ვერ ვხედავ მიზეზს ვიფიქროთ, რომ: ა) ჩვენ საკმარისად გავლიზიანდებით იმისათვის, რომ თურქები ალიანსიდან გავუშვათ; და ბ) არ ვარ დარწმუნებული, კონსტიტუციურად ალიანსის წევრებს შეუძლიათ თუ არა საერთოდ ამის გაკეთება. თურქეთმა, შესაძლოა, ალიანსი დატოვოს, თუმცა არ ვფიქრობ, რომ დანარჩენ წევრებს შეუძლიათ თურქეთის ალიანსიდან გაგდება. ნებისმიერ შემთხვევაში, ამ გზით წასვლა მაინც არავის სურს. თვითონ თურქებსაც არ უნდათ ეს. და ამის მიზეზი მხოლოდ რუსეთთან ისტორიული მტრობა არ არის. და ბოლოს, აღსანიშნავია, რომ გამომდინარე იქიდან, რომ უკვდავი არავინაა, თურქეთის პოლიტიკაში რაღაც ცვლილებები, საბოლოოდ, მაინც იქნება.

ნს: ისეთი თურქეთი, როგორც თქვენ ახლა აღწერეთ, საქართველოს მეზობელი ერთადერთი ნატოს წევრი სახელმწიფოა. როგორი გავლენა შეიძლება ჰქონდეს ანკარას საქართველოზე, როგორ იმოქმედებს ეს საქართველოს უსაფრთხოების სტრატეგიაზე?

ნმ: ვფიქრობ, დიდად არა. თურქეთის საკმაოდ სერიოზულ სტრატეგიულ ინტერესში შედის საქართველოსთან კარგი ურთიერთობები, არა მხოლოდ იმიტომ, რომ ის ენერგო-რესურსებისთვის ტრანზიტულ ქვეყანას წარმოადგენს. გრძელვადიან პერსპექტივაში, ეს

უფრო ნაკლებად მნიშვნელოვანი იქნება, თუმცა ახლა თურქეთისთვის საქართველო მნიშვნელოვანია განსაკუთრებით ბუნებრივი აირისა და ნავთობის გამტარობის კუთხით. საქმე ეხება მილსადენებს აზერბაიჯანიდან თურქეთისკენ ერზურუმსა და ჯეიჰანში. რატომ გადაწყვეტს თურქეთი, საქართველოს პრობლემა შეუქმნას? ამით რას მოიგებს? თუკი საქართველოს საგარეო პოლიტიკას ფართო რეგიონულ კონტექსტში განვიხილავთ, საქართველოს კარგი ურთიერთობები აქვს როგორც სომხეთთან, ისე აზერბაიჯანთან. ამ ორი ქვეყნის მტრული დამოკიდებულების გათვალისწინებით, საქართველოსთვის მნიშვნელოვანი წარმატებაა ორივე ქვეყანასთან სტაბილური და ზოგადად დადებითი ურთიერთობების შენარჩუნება. საქართველოს სტაბილური ურთიერთობები აქვს თურქეთთანაც, და, სხვათა შორის, ირანთანაც. ქართული დიპლომატიის გამოწვევა იყო და არის რუსეთი.

ნს: ნება მომეცით ინტერვიუ დავასრულო კითხვით, რომელზე პასუხიც თქვენ ნაწილობრივ უკვე გაგვეცით. ევროკავშირის აღმოსავლეთ სამეზობლოში მიმდინარე მოვლენების - ბელარუსში მუდმივი არეულობის და მოლდოვაში პრო-დასავლელი პრეზიდენტობის კანდიდატის გამარჯვების გათვალისწინებით, უნდა ველოდოთ თუ არა იმას, რომ აღმოსავლეთ პარტნიორობა ევროკავშირთან ურთიერთობების ახალ ეტაპზე გადავა?

ნმ: არ ვფიქრობ რომ ეს ასეა. პირველ რიგში, ვფიქრობ ევროკავშირის საგარეო პოლიტიკის დღის წესრიგზე. აღმოსავლეთ პარტნიორობა ერთი ასპექტია, მეორე არის აფრიკა, მესამე - აზია და მეოთხე - ჩრდილოეთ ამერიკა. ევროკავშირის

ძალიან დატვირთული საგარეო პოლიტიკის დღის წესრიგი და მრავალწახნაგოვანი და გამოწვევებით სავსე შიდა პოლიტიკური სიტუაცია აქვს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ევროპული დღის წესრიგი ძალიან გადატვირთულია და ამ მიმართულებებით ევროპის ინტერესი გაცილებით მაღალია, ვიდრე აღმოსავლეთ პარტნიორობის მიმართ. თუკი აღმოსავლეთ პარტნიორობას ბიუჯეტის კუთხით შევხედავთ და მთლიანი ევროკავშირის ბიუჯეტს შევადარებთ, ვფიქრობ მთლიანი ბიუჯეტის დაახლოებით 1%-ზეა საუბარი. შესაბამისად, თუ საბიუჯეტო ინვესტიციას მნიშვნელობის ინდიკატორად მივიჩნევთ, ის [აღმოსავლეთ პარტნიორობის შემთხვევაში] ძალიან დაბალია და, სხვათა შორის, ეს აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებისთვის კარგიც კია, რადგან ევროპის მეტი ჩართულობა რუსეთს მეტად აღიზიანებს, რასაც რუსეთის [სამხედრო] წარმომადგენლობა მოჰყვება.

ავიღოთ ბელარუსის მაგალითი. პოლიტიკური ცვლილების შემთხვევაში, ვფიქრობ ევროკავშირი დადებითად განეწყობა და გაიზრდება მხარდაჭერა. თუმცა, თუ გაიზრდებოდა ტექნიკური, მონეტარული, ეკონომიკური და პოლიტიკური მხარდაჭერა, მათ კვლავ მოუწევდათ სიფრთხილით მოჰკიდებოდნენ რუსეთთან ურთიერთობას იმიტომ, რომ რუსეთს არ მოსწონს, როდესაც მის უკანა ეზოში სხვები მოძრაობენ. გაზრდილი

დახმარებისთვის ფართო ველი შეიქმნებოდა. თუმცა, ამის გეოპოლიტიკური შედეგი ჩემთვის უცნობია. რაც შეეხება მოლდოვას, ქვეყანა, რომელიც ახლოდან არ შემისწავლია, მას ერთმნიშვნელოვანი რესურსი აქვს ევროკავშირთან მიმართებით რუმინეთის, როგორც ერთგვარი მფარველი სახელმწიფოს სახით. ამ ორ ქვეყანასა და საქართველოს შორის სხვაობა ძალიან მარტივია. არსებობენ პარტნიორობის წევრი სახელმწიფოები, რომლებიც ევროკავშირს ესაზღვრებიან და არსებობენ პარტნიორობის წევრი სახელმწიფოები, რომლებიც ევროკავშირს არ ესაზღვრებიან. თქვენ [საქართველო] მეორე კატეგორიაში ხვდებით. შესაბამისად, უცნობია თუ რა გავლენა ექნება მოლდოვისა და ბელარუსისადმი ევროკავშირის პოლიტიკის ევოლუციას საქართველოს მიმართ პოლიტიკაზე. მე პირადად, ვფიქრობ, რომ თქვენი ურთიერთობების ევოლუცია გრძელი პროცესი იქნება. და ყველაზე კარგი რამ, რაც ქართველებმა, შეიძლება, გააკეთონ ამ პროცესის ხელშესაწყობად, ადრინდელ საუბარს რომ დავუბრუნდეთ, შიდა ინსტიტუტების განვითარება იქნება. თუ საქართველო საკუთარი პრობლემების გადაჭრას მოახერხებს, ვფიქრობ მისი მეზობლებიც ბედნიერები იქნებიან.

ნს: პროფესორო მაკვარლინ, დიდი მადლობა საინტერესო საუბრისთვის. მადლობას გიხდით დრო რომ დაგვითმეთ.



საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი
GEORGIAN INSTITUTE OF POLITICS

საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი (GIP) არის არაკომერციული, არაპარტიული, კვლევითი და ანალიტიკური ორგანიზაცია. საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი ცდილობს საქართველოში დემოკრატიული ინსტიტუტების ორგანიზაციული საფუძვლების გაძლიერებას და ეფექტური მმართველობის პრინციპების განვითარებას პოლიტიკური კვლევისა და ადვოკატირების გზით.

დოკუმენტის ციტირების წესი:

„საქართველო 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ“, ინტერვიუ პროფესორ ნილ მაკფარლეინთან, გამოცემა #5, საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი, თებერვალი, 2021.

© Georgian Institute of Politics, 2021
13 Aleksandr Pushkin St, 0107 Tbilisi, Georgia
Tel: +995 599 99 02 12
Email: info@gip.ge
For more information, please visit
www.gip.ge